პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია
სტუდენტური აკადემია

დებულება

მუხლი 1. სტუდენტური გაერთიანების დასახელება

1.1. სტუდენტური გაერთიანების ოფიციალური სახელწოდებაა - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (თსა) სტუდენტური აკადემია.
1.2. თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტური აკადემიის შემოკლებული დასახელებაა „სა“.

მუხლი 2. ზოგადი პრინციპები

2.1 სა არის თსა-ში ჩარიცხული სტუდენტების წარმომადგენლობითი ერთეული, მიუხედავად მათი სასწავლო პროგრამისა. სა-ის წევრები არიან როგორც ქართულ, ასევე, საერთაშორისო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები.
2.2 სა წარმოადგენს თსა-ს სტუდენტების ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომლის წევრობაც შეუძლია ნებისმიერ სტუდენტს განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.
2.3 თსა-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურის წევრებს შეუძლიათ იმოქმედონ, როგორც სა-ს მხარდამჭერმა სამსახურმა ისე, რომ არ მოახდინონ სა-ს ავტონომიურობაზე გავლენა.

მუხლი 3. სტუდენტური აკადემიის მიზნები

3.1 თსა-ს სტუდენტების განათლების ხელშეწყობა და კეთილდღეობაზე ზრუნვა.
3.2 სა-ს წევრების წარმოჩენა და კომუნიკაციის დამყარება სა-სა და სხვა ინსტიტუციურ ერთეულებს შორის.
3.3 თსა-ში სტუდენტური საზოგადოებების, კლუბების, ასევე სპორტული, სოციალური და კულტურული აქტივობების ხელშეწყობა.
3.4 სტუდენტური ცხოვრების ხელშემწყობი პირობებისა და სერვისების უზრუნველყოფა თსა-ს სტუდენტებისათვის.
3.5 სა-ს და თსა-ს პერსონალს შორის კეთილგანწყობილი დამოკიდებულებების და ეთიკური ქცევების ხელშეწყობა.
3.6 ეს მიზნები უნდა განხორციელდეს დისკრიმინაციის გარეშე, ისე, რომ არ შეიზღუდოს არავის უფლება ასაკის, გენდერის, რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, სექსუალური ორიენტაციის, ქმედუნარიანობის, სამედიცინო მდგომარეობის ან/და სხვა განსხვავებული ნიშნის მიუხედავად.

მუხლი 4. სტრუქტურა



მუხლი 5. სტუდენტური აკადემიის ამბასადორები

5.1 სა-ს ხელმძღვანელობს თსა-ს ორი სტუდენტი, რომლებიც ამბასადორის პოზიციას იკავებენ არჩევნების გზით. ამბასადორის პოზიციას იკავებს საქართველოს ერთი მოქალაქე და ერთი საერთაშორისო სტუდენტი ერთი წლის ვადით.

5.2 იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების გზით ვერ შეირჩევა ვერც ერთი კანდიდატი, ხელახალი არჩევნები გამოცხადდება ყოველ 2 თვეში ერთხელ ამბასადორების არჩევამდე.

5.3 იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების გზით შეირჩევა მხოლოდ 1 კანდიდატი, 2 თვეში მეორე კანდიდატის არჩევის მიზნით გამოცხადდება არჩევნების მეორე ტური. ამ დროის განმავლობაში არჩეული პირველი კანდიდატი ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

5.3.1 იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურშიც ვერ შეირჩევა მეორე კანდიდატი, პირველი კანდიდატი აგრძელებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას ვადამდე.

5.4 სა-ის ამბასადორის გადადგომის ან დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, ახალი კანდიდატის არჩევა მოხდება კანდიდატის გადადგომის/დისკვალიფიკაციიდან 2 თვის ვადაში ხელახალი არჩევნების გზით.

5.5 სა-ის ამბასადორები იღებენ გადაწყვეტილებებს სა-ს პოლიტიკის, სტრატეგიისა და მართვის საკითხებზე.

მუხლი 6. სტუდენტური აკადემიის ამბასადორების მოვალეობები

6.1 სა-ს ამბასადორების მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს თსა-ს სტუდენტების კეთილდღეობაზე ზრუნვა, სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით სხვადასხვა თემატური შეხვედრის, ტრენინგის, ვორქშოპის, აქტივობის ინიცირება/მხარდაჭერა.

6.2 კლუბის ხელმძღვანელებთან რეგულარული შეხვედრები და მათი საქმიანობის მონიტორინგი.

6.3 კლუბების ხელმძღვანელების მიერ განხორციელებული ღონისძიებების/

შეხვედრების/პროექტების ლოჯისტიკური, ფინანსური, ოპერაციული ასპექტების ზედამხედველობა/მხარდაჭერა
6.4 სა-ს საქმიანობასთან დაკავშირებული შეხვედრებისა და საკონსულტაციო პროცესების ორგანიზება/მხარდაჭერა.
6.5 თემატური კლუბების ხელმძღვანელების შერჩევა, სა-ს წევრების საჭიროებების და ინტერესების შესწავლა.
6.6 ყოველი სემესტრის ბოლოს, თსა-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურისთვის ანგარიშის წარდგენა იმ ღონისძიებების/აქტივობების/ინიციატივების შესახებ, რომლებიც განხორციელდა კონკრეტული სემესტრის განმავლობაში მათი მოვალეობების ფარგლებში.
6.7 თსა-ს ქცევის კოდექსთან მიმართებით ცნობიერების გაზრდა და პროფესიონალურ ქცევასთან და ეთიკასთან დაკავშირებული შეხვედრების/ვორქშოპების/ტრენინგების ორგანიზება.
6.8 თსა-ს სტუდენტებთან კომუნიკაცია და ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით (ელ.ფოსტა, ტელეფონი, ბეჭდური მასალები, სოციალური არხები, პირდაპირი კომუნიკაცია).
6.9 ამბასადორები ვალდებულები არიან დაიცვან მათთვის გაზიარებული პერსონალური და ელექტრონული მონაცემების/ინფორმაციის კონფიდენციალურობა (იხ.7.1 და 7.4) როგორც პოზიციაზე ყოფნის პერიოდში, ისე ვადის დასრულების შემდეგ.
6.10 ამბასადორები ვალდებულები არიან მოუფრთხილდნენ მათ სარგებლობაში არსებულ ნივთებსა და ინფრასტრუქტურას.
6.11. სა-ის ამბასადორის ვადაზე ადრე გადადგომის შემთხვევაში უნდა არსებობდეს ობიექტური გარემოება (მაგ. ჯანმრთელობის მდგომარეობა, უბედური შემთხვევა, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და სხვ.). გადადგომის თაობაზე სა-ის ამბასადორმა წერილობით უნდა აცნობოს საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურს.

მუხლი 7. სტუდენტური აკადემიის ამბასადორების უფლებები
7.1 სა-ს ამბასადორებს პოზიციაზე ყოფნის პერიოდში უფლება აქვთ ჰქონდეთ წვდომა თსა-ს სტუდენტებთან კომუნიკაციის დასამყარებლად საჭირო ინფორმაციაზე, როგორიცაა: სახელი და გვარი, ელ.ფოსტა და ტელეფონის ნომერი.
7.2 უფლება აქვთ საჭიროებისამებრ დანიშნონ შეხვედრები კლუბის ხელმძღვანელებთან, მისცენ მათ დავალებები და მოითხოვონ მათგან სემესტრული ანგარიშები.
7.3 სა-ს ამბასადორებს უფლება აქვთ ისარგებლონ სა-სთვის გამოყოფილი ოთახით. ასევე, შესაბამისი ღონისძიებების ჩასატარებლად თსა-ში არსებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურითა და რესურსით.
7.4 სა-ს ამბასადორებს უფლება აქვთ ისარგებლონ სა-სთვის განკუთვნილი სოციალური არხების და ელ.ფოსტის ანგარიშებით.
7.9 სა-ს ამბასადორებს უფლება აქვთ მოითხოვონ მატერიალური და არამატერიალური მხარდაჭერა თსა-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურისგან.
7.10 8.4-ის შემთხვევებში სა-ს ამბასადორებს უფლება აქვთ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე აირჩიონ და დანიშნონ კლუბის ხელმძღვანელები.
7.11 სა-ს ამბასადორებს უფლება აქვთ ხელახლა აირჩიონ კონკრეტული კლუბის ხელმძღვანელი იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტური კლუბის ხელმძღვანელი მასზე დაკისრებულ მოვალეობებს არაკეთილსინდისიერად/არაჯეროვნად ასრულებს.

7.12 სა-ის ამბასადორებს უფლებამოსილების ვადის დასრულების შემდეგ გადაეცემათ სა-ის ამბასადორის პოზიციაზე ყოფნის დამადასტურებელი სერტიფიკატი და მის კანდიდატურას გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის და პროგრამით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში მიენიჭება პრიორიტეტი.

მუხლი 8. სტუდენტური კლუბის შექმნა/გაუქმება

8.1 სტუდენტური კლუბის შესაქმნელად არსებობს ორი გზა:
ა. სა-ს წევრი მიმართავს სტუდენტური აკადემიის ამბასადორებს კლუბის შექმნის ინიციატივით.
ბ. სა-ს ამბასადორები სა-ს წევრების ინტერესების გათვალისწინებით თავად აინიცირებენ თემატური კლუბის შექმნას.
8.1.1 სტუდენტური კლუბი ორივე შემთხვევაში იქმნება თსა-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურთან კოორდინაციით.
8.2 კლუბის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სა-ს ნებისმიერი წევრი.
8.2.1 სა-ს ამბასადორს აქვს უფლება პარალელურად იყოს კლუბის ხელმძღვანელიც.
8.3 კლუბის ხელმძღვანელად შეიძლება შეირჩეს მხოლოდ ის სტუდენტი, რომელსაც აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსი.
8.4 კლუბის ხელმძღვანელის მიერ პოზიციის დატოვების შემთხვევაში, კლუბის ახალი ხელმძღვანელი აირჩევა ამბასადორებისა და კლუბის არსებული წევრების შეთანხმების საფუძველზე.
8.5 კლუბის შესაქმნელად აუცილებელია შესაბამისი ფორმის შევსება (იხ.დანართი #2), რომელშიც მითითებული უნდა იყოს კლუბის მიზნები, ხელმძღვანელი და სულ მცირე 4 სხვა წევრი, როგორც ამ კლუბის მომავალი წევრები.
8.6 დაუშვებელია ისეთი ახალი კლუბის შექმნა, რომლის მსგავსი თემატური კლუბიც უკვე არსებობს.
8.10 დაუშვებელია, ერთი და იგივე სტუდენტი პარალელურად ხელმძღვანელობდეს 2-ზე მეტ კლუბს.
8.11 სტუდენტური კლუბის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს 9.2-ის შეუსრულებლობა.
8.12 9.2-ის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სემესტრის დასრულების შემდეგ, კლუბის ხელმძღვანელს ელ.ფოსტის მეშვეობით სა-ს ამბასადორებისგან ეცნობება ინფორმაცია კლუბის გაუქმების შესახებ, რის შემდეგაც კლუბი წაიშლება თსა-ს ვებგვერდიდანაც.
8.13 დაუშვებელია გაუქმებული კლუბის ხელახლა შექმნა კლუბის იმავე ხელმძღვანელის ინიცირებით.

მუხლი 9. სტუდენტური კლუბის ფუნქციონირება და კლუბის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები

9.1 კლუბების ხელმძღვანელების უფლებები:
ა. ღონისძიებების ორგანიზება, რომელიც თანხვედრაშია თსა-ს მისიასთა და პოლიტიკათან.
ბ. თსა-ს რესურსების გამოყენება ღონისძიების ორგანიზების პროცესში.
გ. კლუბის წევრების ინტერესების გათვალისწინებით პარტნიორ ორგანიზაციებთან კომუნიკაცია.
9.2 კლუბების ხელმძღვანელების მოვალეობები:
ა. კონკრეტული საკითხისადმი ინტერესის გაზრდის მიზნით სტუდენტების ჩართულობის

უზრუნველყოფა.
ბ. სტუდენტთა დახმარება კლუბის თემატიკასთან დაკავშირებული პროექტების წერაში.
გ. კლუბის წევრი სტუდენტების მონაცემთა ბაზის წარმოება.
დ. სტუდენტური კლუბის ან სა-ს სახელით გამართულ ღონისძიებაზე, სტუდენტური კლუბის წევრების ქცევაზე პასუხისმგებლობის აღება.
ე. პასუხისმგებელია ჩაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობის/დასწრების სურვილის მქონე ყველა სტუდენტს ექნება შესაძლებლობა რომ ჩაერთოს.
ვ. ვალდებულია კლუბის ფუნქციონირების სემესტრული ანგარიშები წარუდგინოს სა-ს ამბასადორებს.
ზ. ანგარიშვალდებულია სა-ს ამბასადორების წინაშე
9.3 სტუდენტურმა კლუბებმა სემესტრის განმავლობაში უნდა ჩაატარონ მინიმუმ 2 ღონისძიება.
9.3.1 ამის შესახებ კლუბის ხელმძღვანელებს სა-ს ამბასადორების მიერ ეცნობებათ კლუბის შექმნისას და ყოველი სემესტრის დასაწყისში.

მუხლი 10. სანქციები, დისკვალიფიკაცია და დისკვალიფიკაციის პროცედურა
10.1 სა-ს ამბასადორის ან კლუბის ხელმძღვანელის დისკვალიფიკაციის მიზეზი შეიძლება იყოს:
ა. თსა-ს ეთიკისა და პროფესიული ქცევის კოდექსთან შეუსაბამოდ ქცევა.
ბ. დებულებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაკეთილსინდისიერად შესრულება.
10.1.1 სა-ის ამბასადორის დისკვალიფიკაციის საფუძველს სა-ს დებულებაზე დაყრდნობით ადგენს თსა-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური.
10.1.2 დისკვალიფიკაციის საფუძველის შემთხვევაში სტუდენტს გადაწყვეტილება ეცნობება წერილობით, ელექტრონული ფორმით 10 კალენდარული დღით ადრე.
10.2 სა-ის ამბასადორების, სა-ის კლუბების ხელმძღვანელების და წევრების წინააღმდეგ ბრალდებების არსებობის შემთხვევაში, თსა-ს პროფესიული ქცევის კომიტეტი განიხილავს შემოსულ განაცხადებს.
10.3. ამბასადორს შესაძლოა მიეცეს წერილობითი ან/და ზეპირი გაფრთხილება თსა-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურისგან, იმ შემთხვევაში, თუ იგი არაჯერვონად ასრულებს წინამდებარე დოკუმენტით მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს.
10.4. მძიმე დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, რომელიც არღვევს თბილისის სამედიცინო აკადემიის ქცევის კოდექსს ან/და საფრთხეს უქმნის სა-ს ან თსა-ს ინტერესებს, შესაძლოა დაიწყოს დისციპლინური საქმისწარმოება.
10.5. მძიმე დისციპლინური დარღვევის შედეგად გამოცემული სანქციის გასაჩივრება სტუდენტს შეუძლია თსა-ს ქცევის კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად;
10.6. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს თსა-ს პროფესიული ქცევის კომიტეტი.
10.7. სა-ის ამბასადორის ვადაზე ადრე გადადგომის შემთხვევაში, როდესაც არ ისახება ობიექტური მიზეზი, კანდიდატს არ გადაეცემა პოზიციაზე ყოფნის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაცვლით პროგრამებში მის კანდიდატურას პრიორიტეტი არ მიენიჭება.

დანართი #1

სტუდენტური აკადემიის საარჩევნო პროცედურები და კრიტერიუმები

1.1 სტუდენტური აკადემიის არჩევნები უნდა ჩატარდეს წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი კალენდარული წლის ივნისის ბოლო რიცხვისა, სა-ის ამბასადორები პოზიციას იკავებენ 1 წლის ვადით. დაუშვებელია ერთი და იმავე სტუდენტის იგივე პოზიციაზე ზედიზედ 2 წლის ვადით არჩევა.
1.2. სა-ის ნებისმიერ წევრს შეუძლია წარადგინოს საკუთარი კანდიდატურა სა-ის ამბასადორის პოზიციაზე.
1.3. კანდიდატების რეგისტრაციის პერიოდი მოიცავს 7 კალენდარულ დღეს. რეგისტრაცია მიმდინარეობს ელექტრონულად.
1.4. კანდიდატებს ექნებათ 5 დღიანი საარჩევნო კამპანიის პერიოდი, სადაც მათ შესაძლებლობა ექნებათ წარმოადგინონ თავიანთი სამოქმედო გეგმა, სამოტივაციო წერილი, მიაწოდონ სტუდენტებს ინფორმაცია ფოტოებისა და ვიდეოების სახით მათი ბიოგრაფიის, მოხალისეობრივი, სოციალური და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. ზემოაღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნდება თსა-ს ვებგვერდზე არჩევნების სექციაში.
1.5. 5 დღიანი საარჩევნო კამპანიის დასრულების შემდეგ, ცხადდება არჩევნების დღე, სადაც არჩევნები ჩატარდება ელექტრონულად და სა-ის თითოეულ წევრს შესაძლებლობა ექნება ხმა მისცეს მის რჩეულ კანდიდატს.
1.6. არჩევნებს ორგანიზებას გაუწევს თსა-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური.
1.7. არჩევნების შედეგები გამოცხადდება თსა-ს მიერ ხელმისაწვდომი ყველა საკომუნიკაციო პლატფორმის საშუალებით.
1.8. სურვილის შემთხვევაში, არჩევნების შედეგების ნახვის შესაძლებლობა ექნება არჩევნებში მონაწილე რეგისტრირებულ ნებისმიერ კანდიდატს.
1.9. არჩევნებზე მიღებული შედეგები ჩაითვლება ვალიდურად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს თსა-ს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების ჯამური რაოდენობის არანაკლებ 10%.
1.10. არჩევნებში მონაწილე კანდიდატი ჩაითვლება გამარჯვებულად იმ შემთხვევაში, თუ მოიპოვებს არჩევნებში მონაწილე სტუდენტების ხმების უმრავლესობას. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატებს ექნებათ თანაბარი რაოდენობის ხმები, არჩევნების მეორე ტური დაინიშნება მომდევნო სამუშაო დღეს თანაბარი ხმების მქონე კანდიდატებს შორის.

დანართი #2

სტუდენტური კლუბის რეგისტრაციის ფორმა /Student Club Registration Form

კლუბის სახელი /**Club name**	
კლუბის ხელმძღვანელი / **Club Head**	
კლუბში გაწევრიანების მსურველები (მინ.4 სტუდენტი) / **Students willing to join the club (min. 4)**	

ინფორმაცია კლუბის შესახებ / Information About Club

კლუბის მიზნები / **Club Goals**
სავარაუდო აქტივობები რომელთა განხორციელებასაც კლუბის ფარგლებში მოიაზრებთ / **Probable activities that you may carry out within the club**

სტუდენტური აკადემიის დებულების 10.2 და 9.12 პუნქტების თანახმად, სავალდებულოა, რომ კლუბმა სემესტრში მინიმუმ 2 აქტივობა ჩაატაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში კლუბი ექვემდებარება გაუქმებას / **According to paragraphs 10.2 and 9.12 of the Student Academy Regulations, it is mandatory for the club to conduct at least 2 activities per semester, otherwise the club is subject to cancellation**
ვეთანხმები / **I accept the terms** ☐

დანართი #3

სტუდენტური აკადემიის სემესტრული ანგარიში / **Student Academy Semestrial Report**

ამბასადორები/**Ambassadors:** ____

თარიღი/**Date:** ____

კლუბის სახელი / **Club Name**	წევრების რაოდენობა (ქართველი) /**Number of member (Georgian)**	წევრების რაოდენობა (საერთაშორისო) /**Number of member (International)**	კლუბის მიერ სემესტრში განხორციელებული აქტივობები (გთხოვთ ასევე მიუთითოთ თუ აქტივობები საერთოდ არ განხორციელებულა) / **Activities carried out by the club during the semester. (Indicate if no activities were carried out.)**